კიდევ ერთი დაკარგული ქულა

გუშინ ლ. პ. ბერიას სახელობის “დინამოს” სტადიონზე შესდგა მორიგი კალენდარული მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში. თამაშობდნენ თბილისის “დინამო” და ბაქოს “ნეფტიანიკი”.

თბილისელებმა თამაში სწრაფი ტემპით დაიწყეს, მაგრამ ინიციატივა ხელში ჩაიგდო მოწინააღმდეგემ. ბაქოელები მოკლე პირდაპირი გადაცემით გადიოდნენ დინამოელთა საჯარიმო მოედანზე და სახიფათო მომენტებს ქმნიდნენ. მხოლოდ მეკარე მარღანიას თავგანწირულმა თამაშმა იხსნა კარი რამდენიმე აშკარა გოლისაგან.

მთელი ტაიმის განმავლობაში დინამოელები უსისტემოდ თამაშობდნენ. არ იყო კომბინაციები, წყვილ-წყვილად დასდევდნენ ბურთს.

მეორე ტაიმის დასაწყისში სურათი არ შეცვლილა. არაზუსტად და შეცდომებით თამაშობდნენ ძიაპშპა და კიკნაძე. მეოცე წუთზე თოდრია ანთაძემ შეცვალა. თბილისელთა თავდასხმა გამოცოცხლდა და შეტევაზე გადავიდა. თამაშის ბოლომდე იერიში არ შეწყვეტილა, დარტყმას დარტყმა მოსდევდა, მაგრამ ანგარიში მაინც არ გახსნილა. მატჩი დამთავრდა ფრედ _ 0:0. დღეისათვის თბილისის “დინამოს” ჩატარებული 12 მატჩიდან მხოლოდ 13 ქულა აქვს მოგროვილი.

ბ. ქორქია.

“ახალგაზრდა კომუნისტი”, 7 ივნისი, 1949 წ.